სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

16 ივნისი, 2025 წ

ბრძანება N01-02/124

2025-2026 სასწავლო წლისათვის ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის (,,PEERS" პროექტი, პორტუგალია) ფარგლებში საერთაშორისო მობილობის მონაწილე ბსუ-ს აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტთა გამოსავლენად კონკურსის ჩატარების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების ადმინისტრირების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №01-06/89 დადგენილების, "PEERS" პროექტის, ,,ბსუ-ს რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სლოვენიაში, ქალაქ მარიბორში მივლინების შესახებ" ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2025 წლის 30 მაისის N01-14/188 ბრძანებისა და ,,ERASMUS + საგრანტო პროექტისა და ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (16.06.2025 წლის №672751) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2025-2026 სასწავლო წლისათვის ,,ერაზმუს+" გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ევროპის უნივერსიტეტებში (მინიოს, ევორას და ავეიროს უნივერსიტეტებში, პორტუგალია) საერთაშორისო მობილობის მონაწილე <u>აკადემიური/ ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტების</u> გამოსავლენად **განისაზღვროს შემდეგი ვადები**:

ა) საკონკურსო კომისიის მიერ იმ პირების საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება და შეფასება, რომლებიც დარეგისტრირდნენ PEERS-ის პროექტის ელექტრონულ პლატფორმაზე, განხორციელდეს <u>2025 წლის 17 ივნისს;</u>

ბ) კომისიის გასაუბრება სტუდენტებთან - <u>2025 წლის 18 ივნისი,</u> 10:00 -12:00 საათი;

გ) კომისიის გასაუბრება აკადემიურ/ადმინისტრაციული პერსონალთან 2025 წლის <u>18 ივნისი,</u> 12:00 -14:00 საათი;

დ) კონკურსანტთა შეფასებების გადაგზავნა მიმღებ უნივერსიტეტში - 2025 წლის 18 ივნისს;

ე) გამარჯვებულ კონკურსანტთა გამოვლენა - "PEERS"-ის პროექტის ადმინისტრირების ჯგუფის მიერ (პორტუგალია).

2. დამტკიცდეს **კომისიის შემადგენლობა:**

ა) მერაბ ხალვაში - რექტორის მოადგილე, რექტორის მ/შ (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) თამარ სირაძე-რექტორის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);

გ) ვლადიმერ ღლონტი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

დ) მარინე გიორგაძე - სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, ერაზმუს+ ინსტიტუციური კოორდინატორი;

ე) ლელა თურმანიძე - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი;

ვ) თეონა ბერიძე - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;

ზ) ნათელა წიკლაშვილი - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი;

თ) გაიოზ ფარცხალაძე - ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი;

ი) რუსუდან ხუხუნაიშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი;

კ) ირაკლი კორძაია - ტურიზმის ფაკულტეტის დეკანი;

ლ) ლევან ჯაყელი - იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი.

3. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

4. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის აპარატს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, შესაბამის ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და კომისიის წევრებს.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

რექტორის მოადგილე, პროფესორი
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი — მერაბ ხალვაში